ფარმაკოლოგიის საფუძვლები

შეფასების სისტემა

| | |
|---|---|
| შეფასების სისტემა | სტუდენტის ცოდნის შეფასების კომპონენტებია:<br>• სტუდენტის დასწრება სემინარებზე - 4 ქულა,<br>• სტუდენტის აკადემიური აქტივობა– 36 ქულა:<br>• ჩათვლები - 20 ქულა (2 ჩათვლა თითო ჩათვლის მაქსიმალური შეფასება – 10 ქულა);<br>• საბოლოო გამოცდა – 40 ქულა;<br><br>დასწრების მაქსიმალური შეფასება შეადგენს 4 ქულას. სემესტრის განმავლობაში ტარდება 11 სემინარული მეცადინეობა. სემესტრის ბოლოს დასწრების დაანგარიშება ხდება პროპორციის წესით.<br><br>სტუდენტის აკადემიური აქტივობია ფასდება მაქსიმუმ 36 ქულით.<br>თითოეულ სემინარზე სტუდენტის ცოდნა (აქტივობა) ფასდება 4,5 ქულიანი სისტემით შეფასება ხდება როგორც ტესტირებული, ასევე ზეპირი გამოკითხვით. სულ ტარდება 11 სემინარი, აქედან ფასდება მხოლოდ 8, არ ფასდება პირველი სემინარი, და 2 შუალედური ჩათვლის მეცადინეობა.<br>აქტივობის ქულა იყოფა ორ ნაწილად: ტესტური სამუშაოსთვის 3 ქულა, ზეპირი გამოკითხვა 1,5 (0,3 ქულიანი ინტერვალით 1,5 – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, კითხვებზე პასუხობს ამომწურავად; 1,2 – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, კითხვებზე პასუხობს მცირე შეცდომებით; 0,9 – სტუდენტის მიერ თეორიული მასალის ცოდნა არ არის ღრმა, კითხვებზე პასუხობს, თუმცა ცხადია უზუსტობები; 0,6 – სტუდენტმა თეორიული მასალა იცის მნიშვნელოვანი ხარვეზებით, უჭირს კითხვებზე პასუხი; 0,3 – სტუდენტის ცოდნა ძალიან ზედაპირულია, |

| | |
|---|---|
| | კითხვებზე ვერ პასუხობს; 0 - სტუდენტს მასალა არ მოუმზადებია).<br><br>კურსის სწავლების განმავლობაში ტარდება 2 ჩათვლა ზეპირი გამოკითხვითა და წერით (ტესტური – 25 ტესტი, თითო ტესტის ღირებულიბა 0.2 ქულაა) ფორმით (წერითი და ზეპირი შეფასების ქულებს შორის თანაფარდობა შეადგენს 5/5), ზეპირი პასუხი ფასდება ხუთქულიანი სისტემით (5 – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, კითხვებზე პასუხობს ამომწურავად; 4 – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, კითხვებზე პასუხობს მცირე შეცდომებით; 3 – სტუდენტის მიერ თეორიული მასალის ცოდნა არ არის ღრმა, კითხვებზე პასუხობს, თუმცა ცხადია უზუსტობები; 2 – სტუდენტმა თეორიული მასალა იცის მნიშვნელოვანი ხარვეზებით, უჭირს კითხვებზე პასუხი; 1 – სტუდენტის ცოდნა ძალიან ზედაპირულია, კითხვებზე ვერ პასუხობს; 0 - სტუდენტს მასალა არ მოუმზასდებია), თითოეული ჩათვლის მაქსიმალური შეფასება–10 ქულაა. სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტს ჩათვლებით შეუძლია მაქსიმუმ 20 ქულის მოპოვება.<br><br>გამოცდა ზოგად ფარმაკოლოგიაში ტარდება წერით. თითოეულ ბილეთში შეტანილია 50 ტესტი (თითო ტესტი 0.8 ქულა). გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის სტუდენტმა შესაძლო 40 ქულიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 20 ქულა.<br><br>საგანი ჩაითვლება ჩაბარებულად თუ შუალედური შეფასებისა და გამოცდის ქულის ჯამი ტოლია 51 ქულის ან აღემატება მას.<br><br>სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი შკალით შუალედური შეფასების კომპონენტების და საბოლოო გამოცდის შეფასების ჯამით.<br><br>შეფასების სისტემით დაშვებულია: |

| | |
|---|---|
| | ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:<br>• (A) ფრიადი – 91-100 ქულა<br>• (B) ძალიან კარგი – 81 – 90 ქულა<br>• (C) კარგი – 71 – 80 ქულა<br>• (D) დამაკმაყოფილებელი – 61 – 70 ქულა<br>• (E) საკმარისი –51 – 60 ქულა<br>ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:<br>• (Fx) ვერ ჩააბარა – 41 – 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>• (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაცნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>განმეორებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება არანაკლებ 5 დღიანი შუალედის შემდეგ. |
| **გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:** | გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა შუალედური შეფასების კომპონენტებით უნდა დააგროვოს არანაკლებ 11 ქულისა. |